

ატენის სიონის მოხატულობის

ქტიტორთა იდენტიფიკაცია

გურამ აბრამიშვილი

ატენის სიონის კედლის მხატვრობის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი მოსაზრებაა გაშლილი: შ. ამირანაშვილი ფიქსირებს, რომ ტაძარი 804-808 წლებში შორის უნდა მოეხატათ. რ. შმერლინგის დაკვირვებით, ეს მხატვრობა XI საუკუნის მეორე ნახევარში უნდა შეესრულებინათ. მოხატულობას თარიღის შემცველი საქტიტორო წარწერა არ გააჩნია. ამიტომ იყო, რომ შეკვლევარები ამ კედლის მხატვრობის თარიღის გარკვევის დროს, სტილის ევოლუციისა და წარწერათა პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის გვერდით, არსებით მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმ ქტიტორთა იდენტიფიკაციას, რომელთა სიციცხლეში უნდა მოეხატათ ეს ტაძარი. ამდენად, ქტიტორთა ვინაობის გარკვევა მოხატულობის თარიღის განსაზღვრას ან დაზუსტებას ნიშნავდა.

ატენის სიონის მოხატულობის ქტიტორები შ. ამირანაშვილის მიერ, მარჯნიდან მარცხნივ, ასეთი თანმიმდევრობითაა იდენტიფიცირებული: ქართლის კათალიკოსი (1), კოსტანტინე აფხაზთა მეფის ძე-უფლისწული გიორგი (2), კოსტანტინე აფხაზთა მეფე (3), სომეხთა მეფე სუმბატ ტიუშერაკალი (4), მისი ძე, აშოტ ერკათი (5), ანონიმი (6), სუმბატ ტიუშერაკალის ასული, მეუღლე კოსტანტინე აფხაზთა მეფის ძის — გიორგისა (7), (სურ. 1, 2). შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, ასეთი ინტერნაციონალური საქტიტორო მწკრივის ისტორიულ საფუძველს შეადგენდა ის პილიტიკური სიტუაციები, რამაც ჭერ დაამირისპირა, ხოლო შემდეგ დაამოყარა კოსტანტინე აფხაზთა მეფე და სომეხთა მეფე სუმბატ ტიუშერაკალი. უფლისწულ გიორგისა და სუმბატის ასულის 804 წელს შეუდგება, აგრეთვე, 808 წლის შემცველი გრაფიტო, რომელიც მკვლევარის დაკვირვებით მოხატულობის ზედაპირზე ამოუჯანრიათ, შ. ამირანაშვილს საფუძველს ამდევდა მხატვრობას შესრულების დრო 804-808 წლებით განესაზღვრა.

რ. შმერლინგმა პირველმა შეიტანა ექვი ზემოთ აღნიშნულ იდენტიფიკაციაში და მხატვრობის თარიღში, ატენის სიონის მოხატულობის კუთვნილი წარწერების პალეოგრაფიულად შესწავლის საფუძველზე, მკვლევარმა, მოხატულობა XI საუკუნის მეორე ნახევართა გადაათარიდა. რ. შმერლინგის მიერ ორი ქტიტორთა იდენტიფიცირებული, ესენია: მეფე გიორგი II (2), რომლის ზეობის პერიოდს (1072-1078) მიიჩნევს ტაძრის მხატვრის დროდ და მეფე ბაგრატ IV (1027-1072), მომდევნო ქტიტორები (4,5). მკვლევარის აზრით, ადგილობრივ ხელისუფალთა სახლის წარმომადგენლებია, რომლებიც განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ეტაპზე მამულებადაც იწოდებოდნენ.

ატენის სიონის კედლის მხატვრობის თარიღის განსაზღვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭათ ბარნაველის ნაშრომის გამოქვეყნებას. მკვლევარმა დამატებულად აჩვენა, რომ 808 წლის თარიღის შემცველი გრაფიტო, რომელიც შ. ამირანაშვილის დათარიღების ერთ-ერთ არგუმენტად გამოდიოდა, ნაწილობრივ მხატვრობის ხალებავის ქვეშ იყო მოქცეული და ამდენად, ამ მოხატულობის ზედა ქრონოლოგიური მიჯნის განსაზღვრულად ვეღარ გამოდგებოდა. გარდა ამისა, თ. ბარნაველმა წაიკითხა 1890 წელს გამოქვეყნებული ფრესკული წარწერა, რომლის შინაარსი და თარიღი მხარს უჭერდა რ. შმერლინგის მიერ განსაზღვრული მეორე ქტიტორის ვინაობას და მოხატულობის დათარიღებას. თ. ბარნაველის წაიკითხვით, ამ ფრესკულ საქტიტორო წარწერაში დასახელებული იყო მეფე გიორგი II ნოველისამონი და აღნიშნული იყო მოხატულობის შესრულების დრო — 1080 წელი.

ამგვარად, რ. შმერლინგისეული ქტიტორთა იდენტიფიკაცია ექვს აღარ იწვევდა, რადგან საქტიტორო წარწერაში დასახელებული მეფე გიორგი II-ის ქტიტორთა მწკრივის თავში (2) გამოხატვა ლოგიკური ჩანდა. რ. შმერლინგისათვის გაურკვეველი რჩებოდა ქტიტორთა მეთაურის — სახულიერო პირის (1) და წარბოცილი ქტიტორის (6) ვინაობა. აღნიშნულის მო-

უხედავად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ატენის სიონის მოხატულობის ქტიტორთა იდენტიფიკაცია ნწორ მეცნიერულ საფუძველზე იდგა.

თ. ბარნაველის მიერ გამოქვეყნებული საქტიტორო წარწერის შემდგომმა შესწავლამ ასეთი ხაყითები გარკვია: ეს წარწერა მოხატულობის დაზიანებული წინასწარმეტყველის ნაადგილარზე, სხვადასხვა პერიოდის ორ ბათქაშზეა შესრულებული. მისი ულტრა-იისფერი სხივებით გაშუქებამ და ფოტოფიქსირებამ გვჩვენა, რომ წარწერა არც თარიღს შეიცავს და მასში არც მეფე გიორგი ნოველისიზმოსია დასახელებული. წარწერაში მოხსენიებულია ვინმე გრიგოლი, ძე ლიპარიტ თორელისა, რომლის ქტიტორობით XIII საუკუნის მიწურულსა თუ XIV საუკუნის დამდეგს გაუცხიველებიან და შეუყეთებიათ დასავლეთის აბსიდის მოხატულობის ცალკეული მონაკვეთები.

ამ ფაქტის დადასტურებამ რ. შმერლინგის დათარიღებას და ქტიტორთა იდენტიფიკაციას მოაკლო ის დამაჭერებლობა და სიცხადე, რაც თავის დროზე საქტიტორო ფოესკული წარწერის პირველი გამოცემლის წაყითებამ მას შესძინა. უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში 1080 წელა აღარ არის დასახელებული ატენის სიონის მხატვრობის თარიღად. ამდენად, ამ მოხატულობის შესრულების ხანად კვლავ ძალაში რჩებოდა რ. შმერლინგის მიერ განსაზღვრული ქრონოლოგია — XI საუკუნის მეორე ნახევარი. კერძოდ, 1072 წლის შემდგომი პერიოდი, ვიდრე გიორგი II-ის მეფობის დასასრულამდე — 1088 წლამდე.

* * *

ატენის სიონის მოხატულობის ქტიტორული გამოსახულებანი დასავლეთის აბსიდის ჩრდილო კალთაზე და ბემაშია განაწილებული. ქტიტორთა საკურთხევიისაკენ სამი მეოთხედით შებრუნებული და ვედრებას ნიშნად ხელგაწვილი მთელი ტანით გამოსახული ფიგურები. რომელთა რაოდენობა თავდაპირველად შვიდს შეადგენდა (სურ. 2). წარმოქმნის ერთ მთლიან რეკონსტრუქციას. აქ ვერტიკალურ მიქნად გამოდის აბსიდის ცენტრში გაკრილი სარკმელი, რომლის საშუალებათაყ ორ თანაბარ ნაწილად იყოფა ქვედა რეკონსტრუქცია. სადაც ქტიტორთა საპირისპიროდ წინასწარმეტყველთა და ეკლესიის მამათა ფიგურებია გამოსახული.

ქტიტორთა მწკრივი ორ ძირითად ჯგუფად ნაწევრდება (სურ. 1,2). ასეთი დაყოფა ხაზგასმულია არა მხოლოდ არქიტექტურულ ფორმათა წარმატებით გამოუენებათ. ბემის და აბსიდის სხვადასხვა სიბრტყეებით. არამედ, მათზე განაწილებული ფიგურების სხვადასხვა მასშტაბით. ტოპოგრაფიით და სრულიად დამოუკიდებელი ზეციური მფარველებით. ენახო, როგორ არის მხატვრის მიერ ეს ამოცანა განხორციელებული. ზემაში გამოსახული ორი ქტიტორი (1, 2) ცის სეგმენტში ჩაწერილი მაცხოვრის მიმართ არის ვედრებით მიმართული. მაცხოვარი ამ ორ ქტიტორს უგზავნის კურთხევას. აბსიდის კალთაზე განაწილებული ქტიტორები (3, 4). ბემიდან დაწეებულ საერო და სასულიერო პირთა მწკრივის აგრძელებენ და ცის სეგმენტში გამოსახული ღვთისმშობლის მიმართ არიან ვედრების ნიშნად ხელგაწვილინი.

ამგვარად, მაცხოვარი მხოლოდ პირველი ორი ქტიტორის ზეციური მფარველია. ღვთისმშობელი. მეორე ჯგუფის ქტიტორთა (3-4) ზეციურ პატრონად გამოისახება. თუნდაც მხოლოდ ასეთი რეგლამენტაციაცი გვარწმუნებს, რომ ბემაში გამოსახული სასულიერო და საერო პირები არიან მთავარი ქტიტორები. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება მათი ხაგრძნობლად დიდი მასშტაბით გამოსახვით. ექვს გარეშეა, რომ ეს ორი პირი თანაბრად ინაწილებს პირველობას სასულიერო და საერო სფეროში და ამ გრძეული საქტიტორო მწკრივის მეთაურებად გამოდის.

ქტიტორთა იდენტიფიკაციაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მათ თანმხლებ წარწერებს. რომლებიც გამოსახულებათა ორივე მხარეს არიან განაწილებული და მათ ვინაობას გვაუწყებენ. ამ წარწერებს დიდი ნაწილი დაზიანებულია. ხოლო რიგ შეათხვევაში მთლიანად წარხოცილია. ამ ფრაგმენტირებულ წარწერათა მხოლოდ ერთი ნაწილია წაკითხული და შესწავლილია. რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა ქტიტორთა იდენტიფიკაციას.

პირველ ქტიტორს მოსავს მუქი უავისფერ სამონაზვნო ჩოხა. მასზე ჩამოშვებული შავი ომფორით. მხრებზე მოხმული აქვს შავი ფერის მოკლე მოსახხამი. თავზე, როგორც შემორჩენილი ფრაგმენტიდან ჩანს. შავივე ფერის სასულიერო ქული ხურებაა¹⁰. ამ ქტიტორის ღირსება ხაზგასმულია ცის სეგმენტში გამოსახული მაცხოვრით. რომელიც პირველ რიგში მისკენ გზავნის კურთხევას. აგრეთვე, შეკიდული ზეკედით (ხრისობულა) დალუქული გრაგნილით¹¹. ხელთ რომ უპურია (სურ. 1,2).

ექვს გარეშეა. პირველი ქტიტორია უპირველესი მთელ საქტიტორო მწკრივში. მაგრამ ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ბერი, გვირგვინოსანთა წინ გამოსახებს. მისი ფრაგმენტირებული წარწერა „...ძე დიდის...“ რომელიც გამოსახულების მარცხენა მხარეს შემორჩენილია (სურ. 3). ნაწილობრივადაც კი ვერ ვასცემს პასუხს ამ კითხვაზე.

შ. ამირანაშვილის მოხაზრებით. პირველი ქტიტორი X საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი კათალიკოსთაგანია¹². მკვლევარის ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებთ. რადგან კათალიკოსის შესამოსელი არსებითად განსხვავდება ჩვენი პირველი ქტიტორის ჩაცმულობისაგან.

სასულიერო პირთა სამოსი ორგვარი ხახისაა. ლიტურგიულ-სამღვდელმოსდგრო და სამონასტრო-ბეროული. არქიპიტრაციონის მიხედვით, სამღვდელმოსდგრო „შესამოსელი სრული ვითა ხუდების: ფილონითა, ოლარითა, გინგილითა, ენქერიითა, ომფორითა, მანდილითა, მუკლთა, საფენითა, კელთა საქოცელითა. ვითა მღვდელმოსდგროსა ხუდების ყოვლითა უქლებლად“¹³.

წებელდის რელიეფზე (X ს.)¹⁴ ლაღამის სვიმონ მესვეტის ქედურ ხატზე (1032 წ.)¹⁵ და იენაშის სახარების მოქედელ უდაზე გამოსახული (XIII ს.)¹⁶ ეპისკოპოსებასა და კათალიკოსის სამოსი არქიპიტრაციონში განსაზღვრული რეგლამენტაციის შესატყვისია. ატენის სიონის მოხატულობაში. ასეთსავე სამოსში გამოუსახავთ მღვდელმთავრები („საშინელი სამსკაყრო“). რომელთა ჩაცმულობა არსებითად განსხვავდება აქვე გამოსახულ ბერ-მონაზონთა შესამოსელისაგან¹⁷.



სურ. 1.

სახულიერო სამოსის მეორე სახე, როგორც უკვე ითქვა, სამონაწევრო-ბერულია. მისი ელემენტებია: შავი ჩოხა თუ სქემა, გულზე შეკრული შავი საბეჭური და ბრტყელთავიანი დაბალი თავსაბურავი — კუნკული.¹⁸ ეკვს გარეშეა, რომ ჩვენი პირველი ქტიტორი, მისი სამოსის ყველა ელემენტით: შავი საბეჭურით, ჩოხით, კუნკულით, მონაწონია. რაც გამორიცხავს კათალიკოსად მისი მიჩნევის შესაძლებლობას. ნ. ჩოფიაშვილი ამ პირს მართებულად მიიჩნევს მონაწევრად, მაგრამ არ ჩანს, რის საფუძველზე თვლის მას შემონაწევრებულ მეფედ¹⁹.

ბემაში გამოსახული მეორე ქტიტორის წარწერა აღარ შემორჩენილა. გრ. გაგარინის ჩანახატი²⁰ და ივ. ქავახიშვილის ნაშრომში ჩართული გრაფიკული ნახატი²¹, ეს მეორე ქტიტორი უწყვერული ქაბუკია. სამწუხაროდ, მისი სახიდან დღეისათვის მხოლოდ ხვეული თმისა და ყელის ფრაგმენტია დარჩენილი (სურ. 1). ქაბუკ ქტიტორს ალუბლისფერი „ენიანი კაბა“ აკვია და სამოსის ფერადოვნებით მკაფიოდ გამოიყოფა დანარჩენი ქტიტორების შავი, ყავისფერი, ცისფერი და ყვითელი ფერის შესამოსების საერთო ფონზე. ასეთი მკაფიოდ აქცენტირებული ფერადოვნებით მინიშნებულია ამ მეორე ქტიტორის უპირატესობა და პირველობა საერო, პირთა შორის²².

მეორე ქტიტორი რომ მეფე ან უფლისწულია, ამაზე არ დაობენ. ზემოთაც აღინიშნა, რომ ამ პიროვნებას შ. ამირანაშვილი კოსტანტინე აფხაზთა მეფის ძედ — გიორგიდ მიიჩნევდა. ხოლო რ. შერლინგი, ბაგრატ IV-ის ძედ — გიორგი II-დ, როგორც ვიცით, ამ მეორე ქტიტორს წარწერა აღარ შემორჩა. მიუხედავად ამისა, ძნელი შესაჩინევი არ უნდა იყოს, რომ მკვლევარები, ამ ქტიტორს მხოლოდ გიორგისთან აიგივებენ. სადავო მხოლოდ ისღა რჩებოდა, ვისი ძე უნდა ყო-

ფილიუო ეს ქტიტორი, რომელსაც უდავოდ გიორგი უნდა რქმეოდა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ასეთი იდენტიფიკაციის საფუძველს მესამე ქტიტორის წარწერა წარმოადგენდა.

ატენის სიონის მოხატულობის ქტიტორთა იდენტიფიკაციაში მკვლევარები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მესამე გვირგვინოსან ქტიტორს, რომელიც აფხიდის კალთის თავშია გამოსახული. პირველი ქტიტორისდაგვარად, ხელში ხრიზობულათი დაბეჭდილი გრაგნილი უკურია და თავისი ზეციური მფარველი — ღვთისმშობელი აკურთხებს. ყველა მკვლევარი, რომელიც თავის დროზე შეეცადა გაერკვია აქ გამოსახულ ქტიტორთა ვინაობა, მხოლოდ ამ მესამე გვირგვინოსანის პიროვნების დადგენით უდილობდა ამოცნობა დანარჩენი ქტიტორები. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ამოსავლის ფსიქოლოგიურ ფაქტორს მესამე ქტიტორის სამეფო შესამოსელი შეადგენდა.

მესამე ქტიტორის მარჯვენა მხარეს წარწერა აღარ შემორჩენილა. ივ. ქავახიშვილს თავის დროზე აქ „მეფე ბაგრატ“ ამოუკითხავს²³. რაც შეეხება გამოსახულების მარცხენა მხარეს, აქ, შავი საღებავით არის შესრულებული ქართული ასომთავრული წარწერა სამ სტრიქონად (სურ. 4), რომელიც შემდეგ ვაუწყებს:

1. მ(ა)შ(ა) გ(იორგი) მ(ე) ფისამ.

2. შემომწირ(ე)ლი

3. ქ(უა)რმეწ(ა)მ(უ)ლისამა²⁴.

მესამე ქტიტორი ივ. ქავახიშვილისა და რ. შერლინგის მიერ მეფე ბაგრატ IV-დ არის მიჩნეული. მის კუთვნილ წარწერაში, როგორც ვნახეთ, მისი ძე, მეფე გიორგია დასახელებული. საქმე ის არის, რომ ბაგრატ IV-ის შემდეგ გამოსახული ქტიტორის (4) ვინაობა, მისი წარწერით, ცნობილია. ცხადია, მისი გაიგივება გიორგი მეფესთან შეუძლებელი იყო. რ. შერლინგისათვის რჩებოდა ერთადერთი გზა — მე-

ორე ქტიტორი. მისი ვინაობის მაუწყებელი წარწერა როგორც უკვე ითქვა, მთლიანად წარმოცილია. ამდენად, ასეთ იდენტიფიკაციას ხელს აღარაფერი უშლიდა.

რიგით მეოთხე ახალგაზრდა წვეროსანი ქტიტორი შემოსულია პატივით შემკული კაბით და გრძელი მოხახხამით, თავზე სტემა ბურავს (სურ. 1). გამოსახულების ორივე მხარეს შემორჩენილია ამ ქტიტორის კუთვნილი წარწერები, სადაც შემდეგს ვკითხულობთ (სურ. 5):

1. „ს(უშ)ბ(ა)ტ ძე აშოტი 1. ს(უშ)ბ(ა)ტ შემოწირა
2. სი“ 2. ...[ბ]ოტი [ხატი]“²⁷

საუპრადღებოდ მიგვაჩნია, რომ გრ. გაგარინს ამ წარწერის მეორე სტრიქონში, თავის დროზე, გადმოუხატავს „ბოტი...“ ასონიშნები²⁶, რაც სარწმუნოს ხდის თ. ბარნაველის წაკითხვის („ბოტინატი“) სისწორეს. რაც შეეხება „ბოტინატის“ წინ არსებულ მონაკვეთს, საფიქრებელია, აქ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი ასონიშნები, ან სხვა რაიმე ფულადი ერთეული უოფილიუო აღნიშნული, ისევე, როგორც ატენის საკურკლეში დადებულ ბოტინატთან ერთად, დუკატი, ხოლო დავით აღმაშენებლის ანდერძში დრაქიანიცაა დასახელებული²⁷.

სუმბატ აშოტის ძეს მარჯვენა ხელი მცირეწლოვანი ძისთვის ქონია ჩაქიდებული (5). ასე ჩაუხატავს თავის დროზე ეს ურმა ქტიტორი გრ. გაგარინს. მისი წარწერა, როგორც ჩანს, იმ დროისათვის ისე უოფილია დაზიანებული. რომ მხატვარს არც კი დაუტანია თავის ნახატზე²⁸. ამ მეხუთე ქტიტორის წარწერას ფრაგმენტულობის მიუხედავად, მისი წაკითხვა მაინც ხერხდება (სურ. 6).

- 1'ტ უფ [ლ](ი) სწული, ძე
2. ს(უშ)ბ(ა)ტისი“²⁹

ურმა უფლისწულის სახელიდან მხოლოდ ბოლო „ტ“ ასოლა დარჩენილია. შ. ამირანაშვილი აღადგენს აშოტს³⁰, რაც შეხამლოდ მიგვაჩნია, როგორც ვიციით, ამ ურმის მამა სუმბატ აშოტის ძეა. ამდენად, შესაძლო იყო სუმბატს თავისი ძისათვის მამის სახელი დაერქვია. ამიტომ, ამ ურმა ქტიტორს, პირობითად, აშოტს ვუწოდებთ.


მეექვსე ქტიტორის გამოსახულებიდან უავისფერი

სამოსის ერთადერთი ფრაგმენტილა გადარჩენილია. გრ. გაგარინის ნახატში საერთოდ გამოტოვებულია: ამ ქტიტორის ნაადგილარიც კი და როგორც ჩანს, მოხატულობის ეს ნაწილი მაშინვე უოფილა დაზიანებული³¹. მეექვსე ქტიტორი, რომელიც ურმა უფლისწულის შემდეგ უოფილა გამოსახული, უდავოდ სრულწლოვანია. ამაზე მიგვანიშნებს მისი კუთვნილი წარწერის გადარჩენილი ნაწილი, რომელიც სრულწლოვან ქტიტორთა წარწერების საერთო დონეზე მოთავსებული და ქვევით არ არის ჩამოტანილი. როგორც ეს ურმა აშოტ უფლისწულის (5) წარწერის შესრულების დროს განახორციელა მხატვარმა (სურ. 1).

მეექვსე ქტიტორის ორსტრიქონიანი წარწერა, თავდაპირველად აქ გამოსახული ქტიტორის მარცხენა ნაწილზე უოფილა მოთავსებული. წარწერის მარჯვენა ნაწილი, გამოსახულებასთან ერთად დაზიანებულია (სურ. 1, 2, 7). ამ გადარჩენილი ნაკლები წარწერის პირველი სტრიქონი ასე იკითხება: შემოწირა. მეორე სტრიქონში კარგად გაირჩევა პირველი სიტყვის ბოლო ორი „ნი“ ასო. მომდევნო სიტყვიდან ასონიშნების მხოლოდ ქვედა ნაწილილა დარჩენილია, სადაც კარგად აღდგება სიტყვა — „შეუალნი“. ამ სტრიქონის დასასრული ნაწილის წაკითხვა არავითარ სიძნელეს არ შეადგენს. რადგან აქ მკაფიოდ იკითხება „გიორგი მეფემან“. ამგვარად, წარწერა ნაკლები სახით ასე წარმოგვიდგება: შემოწირა... ნი შეუალნი გიორგი მეფემან“.

გახარკვევია „შეუალნი“-ს წინ არსებული სიტყვა, რომლისაგან „ნი“ დაბოლოებალა დარჩენილია. შ. ამირანაშვილი აქ აღადგენს სიტყვას „საფანნი“ და სტრიქონს ასე კითხულობს: „შემოწირა საფანნი გიორგი მეფემან“³². ამ წაკითხვას ვერ გავიზიარებთ, რადგან შ. ამირანაშვილს გამოტოვებული აქვს სიტყვა „შეუალნი“, ხოლო „საფანნი შეუალნი“; აზრობრივად არაფერს ნიშნავს. ერთი შეხედვით, თითქოს შესაძლო უნდა უოფილიუო აქ „სიგელნი“ აღგვედგინა. მაგრამ ასეთი ვარაუდი არ უნდა იყოს სწორი. ეს წარწერა შეუვალლობის სიგელის ბოძებას რომ გულისხმობდეს, „სიგელნი შეუვალობისანი“ უნდა დაეწერა კალიგრაფ მხატვარს და არა „სიგელნი შეუალნი“. ვფიქრობთ, ტექსტის ამ ნაკლები აღგილის აღსადგენად შესაფერისი უნდა იყოს „ციხენი შეუალნი“, რაც

სურ. 2.



მთლიანად ახეთ ტექსტს მოგვცემს: „ატენის ხიონს შემოწირა [ციხე] ნი შეუალნი გიორგი მეფემან“. როგორი სავარაუდოც არ უნდა იყოს ჩვენი აღდგენა, ერთი ცხადია, რომ ეს წარწერა მეფე გიორგის შეწირულებას აცხადებს.



სურ. 3.

ბოლო ქტიტორი დედოფალია (ი). იგი ერთადერთი ქალია, რომელსაც უფლება მიეცა ახეთ წარმომადგენლობით აქტიტორი მწკრივში გამოსახულიყო. (სურ. 1). გვირგვინოსან დედოფალს მოხავეს პატიოსანი თვლებით შემკული მანიაკითა და თორაკით გაწუობილი ციხფერი ბისონი. შარავანდმოსილია, თავზე დედოფლის გვირგვინი ადგას. მისი კუთვნილი წარწერები გამოსახულების ორივე მხარეს გადარჩენილია. ეს წარწერები ნაკლებია. მაგრამ მათი წაკითხვა მაინც ხერხდება. თუმც ცალკეული მონაკვეთების აღდგენა სავარაუდოა (სურ. 8).

1. „...იხდუ(ბ)ტ დედოფ(ა)ლი“. 1. „შემომწირველი 2. [ხეფის ზუარ] იხდ(ე) გულისა“

იხდუბტი ამ დედოფლის სრული სახელი არ არის. ახეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ამ სახელის თავზე არსებული ქარაგმის ნაშთი, რაც იხდუბტის წინ არსებულ მონაკვეთზე დღეისათვის დაზიანებულ ახონიშნებს გვაჯარაუდებინებს. ნ. ჩოფიკაშვილი, ამ დედოფლას სახელის ნაკლებობას მრავალწერტილით აღნიშნავდა („იხდუბტი“).³⁴

ატენის ხიონის მოხატულობის ქტიტორთა წარწერების შესწავლის დროს ჩვენი ურადლება მიიქცია ერთმა შეუსაბამობამ. თუ გავიზიარებდით რ. შმერლინგის იმ თვალსაზრისს, რომ მეორე ქტიტორი მეფე გიორგი ზეორეა. მაშინ ახსნას მოითხოვდა. რატომ უნდა დაეხატებინათ მეფე გიორგი—მეექვსე ქტიტორთან. ამ ხაერთის გასარკვევად საჭიროდ მივიჩნიეთ ქტიტორთა წარწერების რეგლამენტაციის ხასიათი შეგვესწავლა.

ბემაში გამოსახული ქტიტორების (1. 2) წარწერებზე არაფრის თქმა შეგვიძლია, რადგან პირველი ქტიტორის წარწერიდან. როგორც ვიცით. მხოლოდ მარცხენა ნაწილში მოთავსებული ფრაგმენტირებული მონაკვეთიდა დარჩენილია („...ქე დიდის“). მხოლოდ მეორე ქტიტორის წარწერა მთლიანად წარსოცილია.

რაც შეეხება აბხიდში გამოსახულ ქტიტორებს. მათ თანმხლებ წარწერებში ერთი საერთო. მკაცრად განსაზღვრული პრინციპი შეიმჩნევა.

ბაგრატ IV-ის (3) გამოსახულების მარჯვენა მხარეს, როგორც ვიცით. ივ. ქავახიშვილს თავის დროზე მეფე ბაგრატი ამოუკითხავს³⁵. მარცხენა მხარეს (სურ. 4) ამ გვირგვინოსნის შესაწირავია გამოსახულებული („ჭუარმწამული“). ახეთივე რეგლამენტაცია დასტურდება სუმბატ აშოტის ძის (4) წარწერებში (სურ. 5). აქაც მარჯვნივ სუმბატის სახელია აღნიშნული.

ნული, ხოლო მარცხნივ. მისი შესაწირავია დასახელებული („ბოტინატი“). სუმბატის მცირეწლოვანი ქუფლისწული აშოტი (5), მისი უსაკობის გამო ვერაფრის შემომწირველი ვერ იქნებოდა. ამ გამოკვეთა არის. რომ მისი წარწერა ამ გამოსახულების ორივე მხარეს კი აღარ არას განაწილებული. არამედ მხოლოდ ზევიანდის ზემოთ არის შესრულებული და მასში მხოლოდ უფლისწულის ვინაობაა აღნიშნული (სურ. 8).

მეექვსე ქტიტორის კუთვნილ წარწერას დროებით გამოვტოვებთ. ბოლო, მეშვიდე ქტიტორი დედოფლას წარწერაში კვლავ ისეთივე პრინციპია განხორციელებული. როგორც ეს აბხიდში გამოსახულ ყველა ქტიტორის წარწერაშია მკაცრად დაცული (სურ. 8). დედოფლის მარცხენა მხარეს მისი ვინაობაა დასახელებული („...იხდუბტი“). ხოლო მარცხნივ. მის მიერ გაღებული შესაწირავია გამოსახულებული („შემომწირველი [ხეფის ზუარ]ის დეგულისა“).

დავაახვივით: ატენის ხიონის მოხატულობის ყველა სრულწლოვანი ქტიტორის მარჯვენა მხარეს მათი ვინაობაა დასახელებული. ხოლო მარცხენა მხარეს მათი შესაწირავებია გამოსახულებული. წარწერათა ეს რეგლამენტაცია აბხიდში. არსად ირღვევა და როგორც ჩანს. წინასწარ შემუშავებულ ამ სქემას მკაცრადაც იცავდნენ.

ამ თვალსაზრისით რომ განვიხილოთ მეექვსე ქტიტორის ფრაგმენტირებული წარწერა (სურ. 7). რომელიც ამ ანონში ქტიტორის ნაღვლიანის მარცხენა მხარეს არის განაწილებული, ჩვენს მიერ დადასტურებული რეგლამენტაციის მიხედვით. აქ შესაწირავი უნდა ყოფილიყო გამოსახულებული. არც აქ ირღვევა ეს საერთო წესი. როგორც ვიცით, აქ სწორედ შემოწირულებაა დასახელებული: „...შემოწირა ციხენი შეუალნი გიორგი მეფემან“. როგორც ვხედავთ. შემოწირულების გამოსახულებულ ამ წარწერაში. შემომწირველიც არის დასახელებული („გიორგი მეფემან“). ახეთი რამ ჩვენი ქტიტორების წარწერებში უპირველდენტო შემთხვევას არ წარმოადგენს. ზემოთ ვაჩვენეთ, რომ სუმბატ აშოტის ძის (4) გამოსახულებას მარჯვნივ (სურ. 5) მისი ვინაობაა აღნიშნული („სუმბატ ძე აშოტისი“). ხოლო მარცხნივ. იქ სადაც შესაწირავია გამოსახულებული. კვლავ მეორდება მისი სახელი. შესაწირავის დასახელებასთან ერთად („სუმბატ შემოწირა... ბოტინატი“).

როგორც ვნახეთ. ქტიტორთა კუთვნილ წარწერებში, როგორც წესი. გამოსახულებათა მარჯვნივ. მათი ვინაობა იყო დასახელებული. ხოლო მარცხნივ. რიგ შემთხვევაში. შეწირულებასთან ერთად. შემომწირველის სახელიც მეორედ მოგვითხროდა.

აბხიდის კალთაზე განაწილებულ ქტიტორთა წარწერების რეგლამენტაციის მიხედვით თუ ეიმსჯელებთ და, ვფიქრობთ. სრული საფუძველიც გვაქვს მას დავეუბნოთ. მეექვსე ქტიტორის მარჯვენა მხარეს. უდავოდ. მეფე გიორგი უნდა ყოფილიყო დასახელებული. ასეთი დასკვნა ერთადერთია. რადგან აქ გამოსახულ ქტიტორთა კუთვნილ ყველა წარწერაში მხოლოდ ის პირივნებაა დასახელებული, რომელთა მარჯვნივ და მარცხნივ ეს წარწერები არის განაწილებული. ეს რეგლამენტაცია აბხიდში გამოსახულ სრულწლოვან ქტიტორთა წარწერებში არსად არ ირღვევა და ძნელად

ხარწმუნოა შეეძქხე ქტიტორის ეს წარწერა ამ მხრივ ერთადერთ კამონაკლისს შეადგენდეს.

აქ შეიძლება ორი თვალსაზრისი გაჩნდეს: ან უნდა უარყუთ რ. შმერლინგის ის მოსაზრება, რომ მეორე ქტიტორია სეფე გიორგი II, ან უნდა დავუშვათ ვარაუდი, რომ აქ საქტიტორო მწკრივში, ორი გიორგი მეფე გამოკახავთ. ამ საკითხების გასარკვევად საჭიროა ეოვერ-მხრივ შევამოწმოთ ის ისტორიული წინამძღვრები. რამდენიმე ჩვენი მეორე ქტიტორის კიორგი II-დ მიჩნევის. ან ასეთი იდენტიფიკაციის უარყოფას საფუძველს მოგვცემდა.

ატენის სიონის მოხატულობა XI საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლია და, ცხადია, შეიძლება იგი გიორგი II-ის დროს შესრულებულ ნაწარმოებად უოდილიუო მიჩნეული. მით უფრო. რომ ბაგრატ IV-ის (3) წარწერაში მისი ძე—მეფე გიორგია დასახელებული. ეს თვალსაზრისი რ. შმერლინგის მიერ თავის დროზე იყო ჩამოყალიბებული³⁶. სხვა დამატებითი არგუმენტები გიორგი II-ის იდენტიფიკაციის სასარგებლოდ ვერც ჩვენ დავძებნეთ. სამაგიეროდ. ამ საკითხზე მუშაობის დროს. მეორე ქტიტორის გიორგი II-დ მიჩნევის არაერთმა უარსაყოფმა ფაქტორმა მოიყარა თავი. რომელთა გაუთვალისწინებლობა შეუძლებლად მიგვაჩნია.

მეორე ქტიტორის გიორგი II-დ მიჩნევის ხელს უშლის მისი ასაკი. შემოთავ აღვნიშნეთ. რომ გასული საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ატენის მოხატულობა შედარებით უკეთ ეოვიდა დაცული, მეორე ქტიტორი გრ. ვაგარანს უწვერული კაბუკის სახით ჩაუხატავს³⁷. ივ. კაკაბიძეულს ნაშრომშიც უწვერულ კაბუკად არის ეს პირი გამოსახული³⁸. კაბუკად მიიჩნევის აქ მეორე ქტიტორის რ. შმერლინგის³⁹. დანიასთვის ამ გამოსახულებას სახე მთლანედ დაზიანებულია, გაარჩევა ხვეული თმისა და უელის ფრანგენტები, მაგრამ გამოსახულების საერთო იერით, აღნაგობით, სკი მართლაც კაბუკი უნდა იყო.

მეორე ქტიტორი ახალგაზრდაა. მაგრამ არა ისეთი ურმა, როგორც ჰეთანის მხატვრობაში გამოსახული ლაშა კიორგია. რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით. 15 წლის უმანვილი უნდა იყოს⁴⁰. ატენის მოხატულობის მეორე ქტიტორი. რომლის ხავარაუდო ასაკი ოცა წლით შეიძლება განისაზღვროს, საკმაოდ ტანშალალი. მხარბეჭიანი კაბუკია. იგი თუმც უწვერულია. მაგრამ ეს დეტალი მხოლოდ მის ახალგაზრდულ ასაკზე მიგვანიშნებს. უწვერული კაბუკი ქტიტორებია გამოსახული ფავნისის (XII ს.)⁴¹. სობის (XIII ს.)⁴². კობაირის (XIII ს.). ლეხთაგის (XIII-XIV სს)⁴³ კედლის მხატვრობის ნიმუშებში, მაგრამ მათი უწვერულობის მიუხედავად, აშკარაა მათი ასაკობრივი სხვაობა. ანალოგიური ვითარება ჩანს ატენის სიონის მოხატულობაშიც, სადაც მეორე ქტიტორი უწვერული კია. მაგრამ ზეთანის ლაშაზე მოზრდილია.

ახლა ვნახოთ. რამდენად შესაფერისი იქნებოდა მეორე ქტიტორად ოციოდე წლის უწვერული კაბუკი გიორგი II-ის გამოსახვა. იგი რომ ატენის სიონის მოხატულობის მთავარი ქტიტორი უოფილიუო. ვიდრე ამ საკითხს გავარკვევდეთ. საჭიროდ მიგვაჩნია მივითუთოთ იმ ქრონოლოგიურ ზღვარზე. რომელზე ადრე. შეუძლებელი იყო მოეხატათ ატენის სიონი. ეს არის ბოტინა-

ტი. რომელიც სუმატ აშოტის ძის (4) შეწირულებად არის გამოცხადებული (სურ. 5).

ცნობილია. რომ ეს ფულადი ერთეული. ბიზანტიის კეისრის—ნიკიფორე ბოტინატის (1078-1081) ზეობაში მოიჭრა⁴⁴. ძნელია რაიმეს თქმა. ბოტინატის ემისიის (1078) წელსვე შემოვიდა ეს ფული საქართველოში. თუ ცოტა მოგვიანებით. უოველ შემთხვევაში, ატენის სიონის მოხატვის ქვედა ქრონოლოგიურ მიქ-



სურ. 4.

ნად 1078-1079 წლები უნდა მივიჩნიოთ. ამ ფაქტის დადასტურება მექანიკურად გამოირიცხავს ჩვენი მეორე ქტიტორის კოსტანტინე აფხაზთა მეფის ძის — გიორგიდ⁴⁵. ან ბაგრატ III-ის ძის. გიორგი I-აოჩი მიჩნევის უოველგვარ შესაძლებლობას.

არ ვიცით რამდენი წლისა უნდა უოფილიუო გიორგი II სამეფო ტახტზე ასვლის დროს (1072 წ.). მაგრამ ცნობილია. რომ ერთი წლის შემდეგ. 1073 წელს შეეძინათ ძე. შემდეგში სახელგანთქმული მეფე დაეითი. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით. 1080 წელს, როდესაც სამეფო ტახტიდან გადადგა გიორგი II. „ის ამ დროს 30 წლისაზე ნაკლები იყო და. როგორც შეიძლება ვიფიქროთ. ამ აქტის შემდეგ ოც წელს ცოცხლობდა“⁴⁷. აქედან თუ ვიანგარიშებთ და გიორგი მეორეს მისი ჩვიდმეტწლიანი მეფობის დასასრულს 45-49 წლისად მივიჩნევთ. 1078 წელს (ბოტინატის ემისია). თუკი ამ დროს მოიხატებოდა ატენის სიონი, მეფე გიორგი მეორე 30-37 წლის მამაკაცი უნდა უოფილიუო.

ჩვენს მხატვრობაში კი. როგორც ვიცით. მეორე ქტიტორად უწვერული კაბუკია გამოსახული. რომლის ბაიბიკვაბა 40 წელს მიტანებულ მამაკაცთან უაშლავლად მიგვაჩნია.

ატენის სიონის მოხატულობა ფეოდალური ხანის ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი ძიწინავე ნაწარმოებია. რომელიც ითვისებს და თავის თავში აერთიანებს შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ძიებათა უველა მნიშვნელოვან აღწევას. თუ გავიზიარებდით რ. შმერლინგის თვალსაზრისს. რომ გიორგი II-ის მეფობის დროს შეიქმნა ატენის სიონის მოხატულობა. ასეთ შემთხვევაში. ბუნებრივი იყო გვეფიქრა. რომ ამ მხატვრობის მაღალი დონე. უპირველესად უოვლისა. გან-


პირობებული უნდა უოფილიუო დაწინაურებული ქვეუნიო შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილი ისეთი განსაკუთრებული ვითარებით, რომლის წიაღშიც შეიძლება განხორციელებულიყო ქართული ხელოვნების ისეთი უბრუნავალეხი ნიმუში. როგორც ატენის სიონის მოხატულობა.

ერთობ დამაფუძრებლად მოჩანს ის ფაქტი, რომ ქართული ხელოვნების ისტორიაში ატენის სიონის მოხატულობის გარდა, ხელოვნების ნებისმიერი დარგის თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ძეგლიც კი არ არის ცნობილი, რომელიც გიორგი II-ის ჩვიდმეტწლიანი მეფობის დროს შექმნილიყო⁴⁸.

გადავხედოთ გიორგი II-ის მეფობის იმ ხანას, როდესაც თეორიულად შეიძლება შექმნილიყო ატენის სიონის მოხატულობა. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ეს ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა ბოტინატას ემისიისა და მისი ქართლში შემოდგენის თარიღი — 1078-1079 წლები, რომელზე ადრე, შეუძლებელია

ბუნდუს. რომლებიც ურიცხვი ლაშქრით ბიზანტიის დასალაშქრად მიდიოდნენ. მათ ამდენის ნალაფარი რომ იხილეს და გაიგეს გიორგი მეფის ქართლიდან გაქცევა. „მეის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოუტინნეს პირსა უოვლისა ქუეყანისასა. ვითარცა მკლნი“⁴⁹. როგორც ცნობილია, ეს შემოსევა, რომელიც „დიდთურქობის“ დასაწყისად არის მიჩნეული, 1040 წელს მოხდა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამდენს პირსა საქართველოს დალაშქვრა, ქრონოლოგიურად ახლოს უნდა იყოს დიდთურქობის დასაწყისთან და თ. უორდანიათ თარიღი 1078-79 წლები უფრო შესაფერისად უნდა ჩანდეს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც საბუცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით სრულ ნდობას იმსახურებს⁵⁰, მუქი ფერებით წარმოგვიდგენს გიორგი II-ის მეფობის მეორე ნახევრის დროს შექმნილ კატახტროფულ ვითარებას. ისტორიკოსის თქმით, თურქებმა „მოქამეს ქუეყანა და მოხწყ-



სურ. 5.

ატენის მოხატულობა შეეხრულებინათ. ამდენად, გიორგი II-ის მეფობის საწყის პერიოდს, ვიდრე 1078-79 წლებამდე აღარ შევხებით.

1078-1079 წლებიდან მოყოლებული, ვიდრე გიორგი II-ის მეფობის ბოლო წლამდე, საქართველო უკიდურესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. თურქ-ხელჩუკები მტკიცედ იკიდებენ ფეხს ამიერკავკასიაში და ანატოლიაში, საიდანაც სისტემატურად თავს ეხხმიან მათ პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილ საქართველოს.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში თურქ-ხელჩუკებმა გიორგი II-ს მნიშვნელოვანი დარტყმები მიაყენეს: მალიქ-შაჰის მიერ გამოგზავნილმა ამირ ამედის ღაშქარმა დაიპყრო არზრუმი, ოლთისი, ხელთ იგდო კარი. მოულოდნელად თავს დაესხა ურუღის ციხეში მდგომ გიორგი II-ს, რომელმაც გაქცევით უშველა თავი და ქერ აქარას, ხოლო შემდეგ აფხაზეთს შეაფარა თავი⁵¹.

ივ. ჭავჭავიძის აზრით, ეს ამბავი 1074-1075 წ. წ. შუა უნდა მომხდარიყო⁵⁰. თ. უორდანია გიორგი II-ის ამ დამარცხებას 1078-1079 წლებითათარიღებს⁵¹, რაც უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია. ხაჭმე ის არის, რომ დავითის ისტორიკოსის ცნობით საქართველოს მარბევის შემდეგ, დიდი ნადავლით უკან დაბრუნებული ამედი შეხვდა ხელჩუკთა ორ დიდ ამირას იახის და

დეს, თუ ხადლა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა. კლდეთა, ქუებათა და ქურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო ხამახი (1090წ.), ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა ხადამე ვინ დაშთა კაცი. ზამთრისა სიფიცხითა, უხახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა“. ამით არ დამთავრებულა ქვეუნიის თავს დატეხილი უბედურება. „...რამეთუ არცხა თანა გაზაუხულისასა ღოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა ხაქმეთაებრ იქიდიან. და ზამთრის წარვიდიან. და არ იყო მათ ეამთა შინა თესვა და მკა: მოოქრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცულად კაცთა მქცენი და ნადირნი ველისანი დაემკედრნეს მას შინა. და იყო კირი მოუთმენელი უოველთა ზედა მკედრთა ქუეყანისათა შეუხწორებელი და აღმატებული ოდესვე უოფილთა ხმენელთა და გარდახრულდა ოკრებათასა. რამეთუ წმიდან ეკლესიანი შექმნეს ხახლად ქუნეთა თვხთა, ხოლო ხაქურთხვევლნი ღმრთისანი ადვილად არაწმიდებისა მათისა“⁵¹.

არც გიორგი II-ის ხულთან მალიქ-შაჰთან წასვლით და მისგან შეწყნარებით გამოკეთებული ქვეუნიის ხაქმე. რადგან სანაცულოდ ხულთანს ხარაქა უთხოვია. ივ. ჭავჭავიძის თქმით, „ის, რაც ითაკილა ბაგრატ IV და არას გზით ხარკზე არ დახთანხმდა, მისმა

შვილმა გიორგიმ და იმდროინდელმა ქართველებმა თითქმის სიბარულით შეიწყნარეს და დაიდგეს — იმდენად ილაქგაწვეტილი იყო მაშინ საქართველო თურქების გამუდმებული ცარცვა-გლეჯისაგან დადებულს ხარაქას თურქები ქართველებისაგან „აიღებდნენ უამთა პრავალთა“⁵.

მალაქ-შაქთან დასაუბრისა და ხარკის დადების მიუხედავად, თურქები კვლავ განაგრძობდნენ საქართველოს მოსხრებას. მალაქ-შაქმა გიორგი II-ს ფრთით და კახეთი უბოძა და თან თურქ-ხელჩუკთა დიდძალი ლაშქარი გამოატანა. ისედაც განადგურებულ ქვეყანაში უცხო ქარის შემოყვანა და მეფის პერეთ-კახეთთან დაპირისპირება, ხულთანის მიერ გამოწვეულად გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. მეფე გიორგი ხელჩუკთა დაშეული ქარით ვეფინის ციხეს შემოეწყო. დავითის ისტორიკოსის ცნობით, ვეფინის ციხის აღყის დროს თოვლი მოვიდა და გიორგი მეფეს „მოექხენა ნადიჭობა „ქამეთისა“. უველაფერს თავი ანება, თურქ-ხელჩუკების ლაშქარს „მისცა ნიქად ხუჭეთი და უოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი“. რომელიც ისე მოუოხრებიათ, რომ დავითის ისტორიკოსის თქმით, მის დროსაც კი ვერ გამოხწორებულა. მეფე გიორგიმ გადაიარა ღიხის მთა და „შთავიდა აფხაზეთად“⁶. საქართველოს ამ ძნელბედობას იხილ დაერთო, რომ 1088-89 წლებში დიდმა მიწისძვრამ ძალზე დააზიანა ისედაც დაუძლურებული ქვეყანა.

უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით, მეფე გიორგი II აიძულეს უარი ეთქვა სამეფო ტახტზე⁷ და „თვთ


ნახატით და ივ. ჭავჭავაძის გამოცემით, უწვერული ქაბუკია, რომლის სავარაუდო ასაკი ოცი წლით შეიძლება განისაზღვროს.

3. 1078-1079 წლებში, როდესაც თეორიულად შეიძლება მოხატულიყო ატენის ხიონი, გიორგი II 40 წელს მიღწეული მამაკაცი უნდა ყოფილიყო. ამდენად, უწვერული ქაბუკის (2) გიორგი II-დ მიჩნევა შეუძლებელია.

4. 1078-79 წლებიდან, ვიდრე გიორგი II-ის მეფობის ძოლო წლამდე, თურქ-ხელჩუკების მიერ მოხრებული საქართველო არაერთხელ იდგა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე. ამდენად, ამ ძნელბედობის ხანაში, ქვეყანას არც რაიმე უმნიშვნელო და მით უფრო, ხატაპო ნაწარმოების შექმნის თავი არ მქონდა. კიდევაც რომ დაგვეშვა ვარაუდის ხახით. თითქოს 1078-89 წლებს შორის, დროის რაღაც მონაკვეთში, მაინც შეიძლება მოხატულიყო ატენის ხიონი, უწვერული მეორე ქტიტორის ასაკი, გიორგი მეორის იდენტიფიკაციაში მაინც ხელისშემშლელ ფაქტორად რჩებოდა.

5. ქტიტორთა კუთვნილი წარწერების რეგლამენტაციის მიხედვით, მეფე გიორგი II მეექვსე ქტიტორად უოფილა გამოსახული ატენის სქონის მოხატულობის საქტიტორო მწკრივში.

დავასაზნაოთ: მეორე ქტიტორი არ არის გიორგი II. არც ამ მუხის ჯომბაში (1072-1089) მოუხატავთ ატენის ხიონი.



სურ. 6.

მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისა“⁸ თავის ძეს დავითს.

ბუნებრივი უნდა ჩანდეს დასკვნა, რომ ამ ძნელბედობის ხანაში, როდესაც თურქ-ხელჩუკებისაგან მოხრებული ქვეყანა მხოლოდ ფიზიკურად გადარჩენა-ზელა წრუნავდა, ხატაპო ნაწარმოებზე რომ აღარავერი ეთქვო. ხელოვნების თუნდაც საშუალო დონის ნიმუშის შექმნაც კი ძნელად წარმოსაღვენა.

როგორც ვნახეთ, ატენის ხიონის მოხატულობის მეორე ქტიტორის გიორგი II-დ იდენტიფიცირების საწინააღმდეგოდ, არაერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა მოიყარა თავი, რაც ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ატენის ხიონი, ბოტინატის გათვალისწინებით, მხოლოდ 1078-1079 წლების შემდეგ შეიძლება მოხატულიყო.

2. მეორე ქტიტორი, რომელიც რ. შმერლინგის მიერ იდენტიფიცირებულია გიორგი II-დ, გრ. გავარინის ჩა-

* * *

ბეშაში გამოსახული ორი მეწინავე ქტიტორის იდენტიფიკაციაში არსებით მნიშვნელობას ვანიჭებთ სასულიერო და ხერო პირის, ერთ კომპოზიციურ ჯგუფში გაერთიანების ისტორიული საფუძვლების ჩვენებას.

შემოთ ვნახეთ, რომ მეორე ქტიტორის გიორგი II-დ მიჩნევის არაერთმა საწინააღმდეგო ფაქტორმა მოიყარა თავი. ჩვენი მეორე ქტიტორის იმ ახლებურ იდენტიფიკაციაში, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ცხადია, არც ერთი შემოთ აღნიშნული ფაქტორი აღარ უნდა გამოვიდეს ხელის შემშლელი. მაგრამ მხოლოდ ეს მომენტები არ უნდა აპირობებდეს მეორე ქტიტორის ვინაობის დადგენას. რადგან პირველი ქტიტორის პიროვნების განსაზღვრის გარეშე. დაუსაბუთებლად დარჩებოდა მეორე ქტიტორის იდენტიფიკაციის უოველგვარი ცდა.

დელი განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული პიროვნებაა. ახ დავითის პოლიტიკის ხული და გულია. დავით აღმაშენებლის „ისტორიკოსი გარკვევით ამბობს. რომ ეს ბერი იყო აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკათავი უოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“. როგორც ვიცით, გიორგი მონაზონი რუხი-ურბნისის ხაყელესიო კრების „თულად“ იყო ცნობილი. ე. ი. აღიარებული იყო მთავარ ინიციატორად და კრების მუშაობის წარმმართველად. ასე რომ, ეს საქმე, ხაყელესიო კრების მოწვევა და რადიკალურ ღონისძიებათა მიღება, საფიქრებელია. მეფეს განუზარახა გიორგი მონაზონმა მეფის მწიგნობართუხუცესმა... შეიძლება ვიფიქროთ, იგივე იყო ახალგაზრდა მეფის განმზრახვი ლიპარიტ-რატისა თუ ძაგან-მოდის-ცოხის წინააღმდეგ ბრძოლისა. იგივე გიორგი მონაზონი მეფის მთავარი თანამოღვაწეა თურქთა განდევნის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით, ან უშუალო მონაწილეობით ხდება სამშვილდისა და სომხითის გაწმენდა; თურქთაგან, ასევე რუსთავიდან მათი განდევნა და ქალაქის შემოერთება. ასე რომ, გიორგი მონაზონი მართლაც რომ „თანაგანმკათაველი“ იყო „უოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა“ მეფისათა. შეეხებოდა საქმე უკლესიას თუ დიდგვარაანთ, ხეროს თუ ხაზედრო საკითხებს უველგან და უველაფერში გიორგი მონაზონი-მწიგნობართუხუცესი აქტიური მონაწილეა. მართლაც მამია მეუხის... გიორგი მონაზონი იყო მთავარი განმზრახვი მეფისა უიგჩაღთა გადმოყვანის საქმეშიც... მკვლევარის დახკენით, დავით აღმაშენებლის რსკოროკოსის ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ „გიორგი მწიგნობართუხუცესი დავით მეფესთან ერთად იყო შემოქმედი ახალი ქართული ხანელმწიფოსი“⁷.

6. ბერძენიშვილის დაკვირვებით, დავითის ისტორიკოსისა და თვით დავითისავე აღნიშვნით („გალობანი ხინანულიანისი“, „ანდერძი“), რაღაც ცოდეა ჩაუდენია კაბუკ მეფეს. რაც „გიორგი მეფეზე ხმარებული მძლავრობა შეიძლება იყოს.“ მკვლევარის დახკენით, „ამიტომ არ იქნებოდა მართებული, რომ გიორგი მეფის მოუხსენებლობა 1028 წლის შემდეგ ჩვენ დავითის ისტორიკოსის ცალმხრივობით და დავითისადმი მიყრძობებით აგვეხსნა. საქმე როგორც ჩანს, ისე იყო, რომ გიორგი მეფე აიძულეს მემკვიდრე დავითი თანამოსაუდრედ დაეხვა და ქვეუნი მართვა-გამგეობა მისთვის (და მისი მომხრე დახისათვის დაეთმო... ასე რომ, ცხადია: გიორგი მეფე სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორეს“. 6. ბერძენიშვილის შენიშვნით, დავითის ისტორიკოსი იმხაც კი არ ცნობს ხაკორად, რომ ამ მეფის (გიორგი მეორის გ. ა.) გარდაცვალება აღნიშნოს, ხოლო გიორგი მწიგნობართუხუცესის გარდაცვალება უოველმან სამეფომან და თვით მეფემან ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსათა შავისათა ორშეოც დღე“⁶⁹.

თ. უორდანიას მოხაზრებით, გიორგი მწიგნობართუხუცესი, მეფე დავითის ნათესავი უნდა უოფილიყო დედის მხრიდან⁷⁰. 6. ბერძენიშვილმა ფაქტიური მახალეების ჩვენებით დამაქრებლად უარყო ეს სვალ-

საზრისი⁷¹. რასაც ჩვენი აზრით, მხარს უჭერს პირველი კტიტორის წარწერაც („...ძე დიდის...“). ეს ტრაგმენტირებული წარწერა გარკვევით მიგვანიშნებს ამ სასულიერო პირის (I) უშაღლესი სოციალური უენის კუთვნილებაზე. მაგრამ მისი გათვალისწინებით ისიც შეიძლება ითქვას, რომ ეს კტიტორი სამეფო სახლიდან არ არის გამოსული. ასეთი ზედწოდება „დიდი“, მართოდენ ერისთავ-აზნაურთა და არა სამეფო ინსტიტუტს გულისხმობს. რადგან „მეუფე“ (მეფე) „დიდზე“ აღმატებულია და ასეთ ზედწოდებას აღარ საკიროებს.

ჩვენი აზრით, ბემაში გამოსახული ორი კტიტორის გიორგი მწიგნობართუხუცესად და მის აღზრდილ კაბუკ მეფედ, დავით IV-დ მიჩნევას ხელს არაფერი უნდა უშლიდეს. გვირგვინოსან კტიტორთა მეთაურად, მართლაც შეიძლება ისეთი პიროვნების გამოსახვა, როელიც, დავითის ისტორიკოსის სიტყვებით რომ ეთქვას, უოფილა სახელგანთი მეფის „თანაგანმკათაველი უოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა...“. შეიძლება დაბეჭათებით ითქვას, რომ მხოლოდ ასეთი პიროვნება შეიძლებოდა გამოესახათ გვირგვინოსან კტიტორთა მეთაურად. იმ დიდი ღვაწლს გამო, რაც მას ქვეუნიხა და კაბუკი მეფის წინაშე მიუძღვოდა, ასეთ იდენტიფიკაციას ხელს არც სამონაზვნო სამოსი უშლის, რადგან 6. ბერძენიშვილის გამოკვლევით, მწიგნობართუხუცესი მხოლოდ მონაზონი უნდა უოფილიყო⁷².

ატენის ხიონის მოხატულობის კტიტორთა შესწავლამ გვაჩვენა, რომ მასში არიყლა 1048 წლას ხაზელმწიფო გადატრიალების შედეგები. რაც კტიტორთა გამოსახვის იერარქიაში გამოვლინდა. ზემოთ ვარენით, რომ კტიტორთა კუთვნილი წარწერებას რეგლამენტაციის გათვალისწინებით, მეფე გიორგი რიგით მეექვსე კტიტორად გამოუსახავთ. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ 1048 წლის გადატრიალებას შემდეგ, მოხალოდნელი იყო, ასეთ საკტიტორო მწკრივში ხულაც არ გამოესახათ მეფე გიორგი, საქმე ის არის, რომ გიორგი II-ს სიცოცხლის ბოლომდე, თუმც ფორმალურად, შეუნარჩუნებია სამეფო პატრვი. 6. ბერძენიშვილის დაკვირვებით, 1103 წლის რუხი-ურბნისის ძეგლისწერაში „გიორგი მეფეთა ჰეფედ იწოდება, მაგრამ იქვე დავითის მოხსენიება ისეთია, რომ აშკარად მოჩანს „გიორგი მეფეთა მეფისა და უოვლისა აღმოსავლეთისა კესაროსის“ ცარიელი პატივი⁷³. ეს ტენდენცია, ატენის ხიონის მოხატულობის კტიტორთა მწკრივშიც აიხასა, სადაც მეფე გიორგის სამეფო ტიტული კი აქვს შერჩენილი. მაგრამ კტიტორ მამაკაცთა შორის ბოლოს არის გამოსახული (8).

საკტიტორო მწკრივში გამოსახულ მესამე გვირგვინოსან კტიტორს — ბაგრატ IV-ს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ატენის ქალაქმშენებლობაში, ამაზე გუაწუვებს ატენის ხიონის ვრცელი ქართული წარწერა, რომელშიც ციხისთავ გურგანელიხა და მირიან თარხუნის ძის გარდა, დასახელებულია მეფე ბაგრატ IV, მის ძესთან, უფლისწულ გიორგისთან ერთად. ამ წარწერის ცნობით, „ხეფისა ზუარხა შიდა ქალაქისა შენებაა“ ბაგრატ IV-ის ბრძანებით დაუწყია მირიანს — ატენის რეგიონის იმდროინდელ პატრონს

და როგორც „სწადდა მეფობასა მათსა“. მეფის შოთხოვნილებათა შესაბამისად. უშენებიათ ქალაქი ატენი. ამდენად. ჩვენ საქტიტორო მწკრივში ბაგრატი I-ის ასე საპატიოდ გამოხატვა ბუნებრივად მიგვაჩნია. ერთი შეხედვით არაბუნებრივად მოჩანს ბაგრატი I-სა და მისი ძის გიორგი II-ს შორის სუმბატ აშოტის ძისა და მისი ურმა უფლისწულის გამოხატვის ფაქტი (4. 5).

სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა სუმბატ აშოტის ძის ვინაობის გარკვევისა. ს. ბარნაველის მოსაზრებით. შესაძლოა ეს სუმბატი ატენის სიონშივე არსებული ანა წლით დათარიღებულ ფრესკულ ეპიტაფიაში მოხსენიებული სუმბატ აშოტის ძეა. რომელიც. „ატენის სიონთან რაღაც დაკავშირების გამო მოჰყვა ტაძრის ახალ მოხატულობაში“⁷⁷. რ. შმერლინგის აზრით. IX საუკუნის წარწერაში დასახელებულ სუმბატ აშოტის ძისა და გვიანი ხანის მოხატულობაში გამოხატულ ამავე სახელის მქონე ქტიტორის სახით „ჩვენ საქმე გვაქვს ადგილობრივ მმართველთა ერთი გვარის სხვადასხვა თაობასთან და რომ განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ეტაპზე ეს მმართველები მამულებად იწოდებოდნენ“⁷⁸.

ამ ორ თვალსაზრისში⁷⁹ მიხედვად მიგვაჩნია რ. შმერლინგის ვარაუდი. რასაც შემდეგი უნდა დაუმატოთ; თავის დროზე შევეცადეთ გვიჩვენებინა, რომ XII საუკუნის მიწურულში აგებული ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძარი — ატენის სიონი, ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთი შტოს საძვალე. ხოლო ატენის ქვეყანა მათი სამეფვიდრო დომენი იყო.⁸⁰ ეს გვაფიქრებინებს, რომ ატენის სიონის მოხატულობის საქტიტორო მწკრივში გამოხატული სუმბატ აშოტის ძე, რომელიც გვირგვინობთა შორის არის მოთავსებული⁸¹, ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. საყურადღებოდ ჩანს ის ფაქტიც, რომ მისი მცირეწლოვანი მეგვიდრე — უფლისწულად არის დასახელებული (6). ე. თაყაიშვილის მოსაზრებით. ატენის სიონის მის წლის ფრესკულ ეპიტაფიაში მოხსენიებული სუმბატ აშოტის ძე და აშოტ კეკელას ძე სუმბატ არტანუჯელი. რომელიც ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელია, ერთიდაიგივე პიროვნებაა⁸². ეს ფაქტი ჩვენთვის იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ რ. შმერლინგის მოსაზრებით. რომელსაც ხაზებით ვიზიარებთ, მის წლის ეპიტაფიაში დასახელებული სუმბატ აშოტის ძე და XI საუკუნის მიწურულის მოხატულობაში ახახული სუმბატ აშოტის ძე — ერთი გვარის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან.

ახეთი იდენტიფიკაციით ინტერესმოყვარული არ უნდა იყოს ივ. ჯავახიშვილის ის თვალსაზრისი, რომ ატენის სიონის მოხატულობაში, სუმბატ აშოტის ძე გამოხატულია ხორით (სტეფანოზი) თავდაბურული. რასაც კეისრები ატარებდნენ და გვირგვინის აღნიშნავდა⁸³. მკვლევარის აღნიშვნით, სუმბატს სამოსის შემოდან პორფირი აქვს მოხსმული⁸⁴. ნ. ჩოფიკაშვილის დაკვირვებით. ახეთი სახის პორფირით (პურპური), მამაკაცების გარდა, ქალებიც გამოიხატებიან⁸⁵. მაგრამ ეს ფაქტი არ ამყარებს ამ შესაბამისების ღირსებას და იგი მხოლოდ სოციალურად დაწინაურებულ. ან უმაღლეს საფეხურზე მდგომ პირთა ინსიგნია-ს?ოსელად რჩებოდა.

უდავოდ დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ სუმბატ აშოტის ძე. მრავალმცირეწლოვანი მეგვიდრით მეფე გიორგი II-ზე წინ გამოხატეს. ახეთ რეგლამენტაციის შეიძლება შემდეგი ახსნა მიეცეს: სუმბატი. ატენის რეგიონის უფალია. რადგან იგი, ბაგრატიონთა სახლის იმ შტოს წარმომადგენელი ჩანს. რომლებიც ოდიოგანე ფლობდნენ ატენის ქვეყანას. ამდენად. სუმბატი უნდა იყოს ამ მოხატულობის დაჟინანსებულიც. ეი მის კუთვნილ წარწერაშია დასახელებული ბოტინატი. რომელიც ატენისათვის მეუწარავს. მაგრამ არხებითი მხარე ასეთი რეგლამენტაციისა. ჩვენი აზრით. მაინც ის უნდა იყოს. რომ ეს ერისთავი. გიორგი მწიგნობართუხუცესის და ქაბუკი დეიოთის დასის მომხრე და 1088 წლის სახელმწიფო გადატრიალების თანამონაწილე თუ თანამგრძობია.

წერილობით წყაროებში არაფერია თქმული სუმბატ აშოტის ძის შესახებ. არც დავითის ისტორიკოსი გვამცნობს რაიმეს მასზე. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით. „დავითის ისტორიკოსის დასახსნათებლად ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი შეინიშნება. ის გავრცობის ერისთავების ხსენებას. მათი მოღვაწეობის აღნიშვნას. თითქოს ეს ერისთავები გადაშენდნენო. მაშინ. როცა მათიანე ქართლისაის ავტორი ან სუმბატ დავითის ძე. რომ არაფერი ვთქვათ უფრო გვიანი ხანის ისტორიკოსებზე, ხაზს უსვამს ერისთავების შესახებ ცნობებით... ერისთავები დავითის დროს. რა თქმა უნდა, არ გამქრალან, მაგრამ მათი მნიშვნელობა უეკველად ძლიერ შეზღუდული იყო... დავითის ისტორიკოსს არ უუფარს ერისთავთა ხსენება ერისთავობით... შეიძლება ვიფიქროთ, ახეთი ოდიოზური დამოკიდებულება ერისთავებისადმი დამახასიათებელი იყო დავითის პოლიტიკის მომხრე დასისათვის და თვით დავითისათვის“⁸⁶. მკვლევარის მართებული შენიშვნით. „მეფის უერთგულეს კაცს, გიორგი ქუონდიდელის დისწულს. თევდორე აბულეთის ძეს. ერისთავობით კი არ მოიხსენიებს დავითის ისტორიკოსი. ისევე, როგორც ახეთი პატივით არ იხსენიებს არც აბულეთსა და არც ივანე ორბელს, რომლებმაც გიორგი ქუონდიდელის ხელმძღვანელობით „სიპარქით მოიპარეს სამშვილდე“⁸⁷ და დავითის უერთგულესი მხედართმთავრები იყვნენ.

ახეთ შემთხვევაში. ცხადია, არც იყო გასაკვირი. რომ დავითის ისტორიკოსს არაფერი ეთქვა სუმბატ აშოტის ძეზე. 1088 წლის გადატრიალება თავისთავად ნიშნავდა ამ ძირეული ძვრების მომხრე ერისთავთა დასს. რომელთა შესახებ დავითის ისტორიკოსის მიერ ხაერთოდ არაფერია თქმული. ვფიქრობთ, იმ მრავალრიცხოვან ერისთავთა შორის უნდა ვიგულოთ სუმბატ აშოტის ძე, რეპარენტატულად რომ არის გამოხატული იმ საქტიტორო მწკრივში, რომელშიც მკაფიოდ აიხსნა ქვეყნის შიგნით მომხდარი პოლიტიკური ძვრების შედეგად განსაზღვრული რეგლამენტაცია.

გასარკვევია იმ ერთადერთი ქტიტორი ქალის დედოფალ... ისდუბტის... (7) ვინაობა, რომელიც ხადელოფლო ინსიგნიებით — გვირგვინით, მანიაკით და დაადემით გაწოხილი ლურჯი ბისონითა და თორაკით არის წარმოდგენილი. ექვს გარეშეა, ...ისდუბტ დედოფალს თავისი სოციალური მდგომარეობით, უფლება უნდა ჰქონოდა იმ საქტიტორო მწკრივში და-

ემკვიდრა ადგილი. სადაც უმეტესწილად. ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები გამოისახნენ.


...ისდუხტის შესამოსხელში უურადღებას იქცევს თორაკია. ცნობილია, რომ თორაკია. თავდაპირველად იმპერატორთა და სამეფო კარის წარჩინებულ მამაკაცთა სამოსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევრიდან დედოფალთა და წარჩინებულ ქალთა — მეფის ასულთა შესამოსხელშიც ჩნდება⁸⁸.

საქართველოში ჭერჭერობით უკელაზე ადრეული ხანის თორაკია დადასტურებულია ზედაზნის კანკელის რელიეფში. რომელიც X-XI საუკუნეებით თარიღდება⁸⁹. შ. ამირანაშვილის დაკვირვებით. აქ კახეთის მეფის — კვირიკეს სახელი იკითხება⁹⁰. ფეოდალური ხანის ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშთა შორის ჭერჭერობით არცერთი ისეთი ძეგლი არ გვხვდება. რომელშიც თორაკიათ ფეოდალი ან მისი მეუღლე გამოეხატათ. თორაკია მხოლოდ სამე-

სახელება ჩვენი აზრით სრულიად შეუფერებელია ასეთი იდენტიფიკაციისათვის და ვერ გავიზიარებთ. ჩვენი მოხატულობის კტიტორი დედოფლის-გინაობის დადგენა ჩვენთვის მთლიანად არ არის ნათელი მაგრამ შესაძლოდ გვესახება იგი გიორგი II-ის ბეულედ ვივარაუდოთ.

ატენის სიონის მოხატულობის კტიტორთა ბჭირი-ში. როგორ ჩანს. დავით IV პირველად აიხახა მეფის ჩანგში. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად მიგვაჩნია როგორც საკუთრივ დავითის პეფობის ადრეული პერაოდის სხვადასხვა საკითხების გასარკვევად. ისე. ფეოდალური ხანის საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ატენის ქვეუნის ხვედრითი წონის გასათვალისწინებლად.

ბრძოლა ატენის ქვეუნისათვის მწვავედ მიმდინარეობდა. ეს მნიშვნელოვანი რეგიონი ხელადას ხელში გადადიოდა სამეფო კარსა და საქართველოს უძლიერეს ფეოდალთა შორის. ბალუაშებს. რომლებიც



სურ. 3.

ფო შესამოსხელის ელემენტს და, როგორც ჩანს, სოციალურად უმაღლეს საფეხურზე მდგომ პირთა ინსიგნიას შეადგენდა. XI საუკუნის ბოლოდან თორაკია ქრება მეფეთა შესამოსხელში და მას მხოლოდ დედოფლების სამოსში ვხვდებით⁹¹.

ცქვს გარეშეა, ჩვენი მეშვიდე კტიტორი ქალი დედოფალია. ამდენად, მისი იდენტიფიკაცია გარკვეულ ინტერესს შეადგენს. ერთი ცხადია, რომ... ისდუხტ დედოფალი, უწვერული კაბუკი მეფის — დავითის (2) მეუღლე ვერ იქნებოდა. იგი არც ბაგრატ IV-ის (3) თანამეცხედრედ შეგვეძლო მიგვეჩნია, რადგან კარგად არის ცნობილი მათი სახელები — ბოონა და ელენე. ...ისდუხტი არც ხუმბატ აშოტის ძის (4) მეუღლედ შეიძლება ჩაითვალოს. ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთი შტოს კუთვნილების მიუხედავად, ხუმბატი ფეოდალია და არა მეფე. ...ისდუხტი კი მისი რეგალიებით საქართველოს დედოფალია. იქნებ შესაძლო იყო დაშვება, რომ ...ისდუხტი (7) თანამეცხედრეა გიორგი II-სა(8), რომლის გვერდითაც იგი გამოუხახავთ (სურ. 1.2). ვერაფერს ვიტყვით ...ისდუხტი დავით IV-ის დედა იყო თუ გიორგი II-ის მეორე ცოლი, მითუმეტეს. რომ წყაროსათვის მათეს სახარების მინაწერში, თ. ეორდნიას აზრით, დასახელებულია დავით IV-ის დედა — ელენე⁹². ეს და-

უკელაზე მეტად იუვენ დაინტერესებულნი ამ ქვეუნის ფლობით. დიდი ხნის მანძილზე ეპურათ ატენის ქვეუნა თრიალეთის კლდეკართან ერთად. ეს უძლიერესი ფეოდალური სახლი, არაერთხელ დაპირისპირებია საქართველოს სამეფო კარს და მთელ რიგ შემთხვევაში გარკვეული წარმატებისათვისაც მიულწევია. ეს საკითხები მონოგრაფიულად არის შესწავლილი⁹³. და ამდენად მათზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს. რომ ატენის ქვეუნა იტორიულად იმ რგოლს წარმოადგენდა, რომელიც ქართლთან უმოკლესი გზებით აკავშირებდა თრიალეთსა (კლდეკარი) და თორს. საფიქრებელია, ამის გამოც გაზრდილიყო მისი მნიშვნელობა ქვეუნის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში. გზათა შესაუარზე მისი მდებარეობა უნდა უოფ...აკო ატენის გაქალაქების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც.

ფეოდალური ხანის საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ატენის ქვეუნის მნიშვნელობა იმითაც შეიძლება შეფასდეს. რომ აქ ბაგრატ IV-ის ბრძანებით. დარბაზი აუშენებიათ. ამაზე გვაუწყებს ატენის სიონის ვრცელი წარწერა⁹⁴. ის ფაქტიც საუურადღებოდ მიგვაჩნია, რომ ღაპრით აღმავნებელს ატენში სამეფო საპურბლე დაუარსებია⁹⁵. უდავოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ადრეული და

შუაფეოდალური ხანის საქართველოში მხოლოდ ოთხი სახელმწიფო საქურქლეა დღეისათვის ცნობილი: ოზილინის, ქუთაისის, უჯარმის და ატენის. ვიქტორობთ. ქვეუნი უპირველეს ქალაქებთან ატენის დასახელება საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ატენის რეგიონის მნიშვნელობის გაზრდას უნდა გულისხმობდეს.

ატენში დარბაზისა და საქურქლეს გაჩენა, ცხადია, ამ რეგიონის სამეფო კარისადმი სრულ დაქვემდებარებას გულისხმობდა. ზემოთქმულს თუ იხსიან დავეუბრებთ, რომ 1148 წლის საზეფო კარის გადატრიალების შემდეგ, ქაბუჯ მეფეს და მის მწაგნობართუხუცესს საქიროდ უცუნიათ ატენის სიონში მათი ქტიტორული პორტრეტების მოთავსება. მნიშვნელოვნად გაიზრდება ამ ქვეუნი ღირებულება. რადგან ამ აქტში, ქტიტორთა გამოსახვაში, სოციალური უკუფენები უნდა დაინახოთ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ვითარებას უნდა გაუპირობებინა ის აუცილებლობა, რომ ქტიტორი მეფე და მისი მწიგნობართუხუცესი პირველად ატენის სიონში გამოეხატათ? ზემოთაუ აღვნიშნეთ, რომ აქ, გვირგვინოსან ქტიტორთა მთელი გაღერის წარმოდგენა და მათ შორის ქვეუნი ძირძველი მფლობელი ფეოდალის, სუმბატის (1) გამოსახვა. ამ რეგიონის ისტორიულად განსაზღვრული მფლობელობის დამადასტურებელ აქტად უნდა მიგველო. ეს აქტი, პირველ რიგში, ატენის ქვეუნი უოფილი მფლობელის — ბაღუაშთა სახლისადმი სამეფო კარის დაპირისპირებას გულისხმობდა.

გასარკვევია, დავითის მეფობის საწყის ხანაში ბაღუაშები ფლობდნენ თუ არა ატენის ქვეუნიას. როგორც ვიცით, ატენის ქალაქმშენებლობის პერიოდში ამ ქვეუნი გამგებელია მირიან თარხუნის ძე. რომელიც ბაგრატ IV ბრძანებითა და დავალებით მოქმედებს⁹⁶. არ ვიცით რა ხდება გიორგი II-ის დროს. თეორიულად კი შესაძლო იყო ბაღუაშებს ამ ძნელებელობის ხანაში ატენის ქვეუნი დებერუნებინათ. იქნებ ასეთი ვარაუდის დამადასტურებელი იყოს დავითის ისტორიკოსის ერთი ცნობა. ქაბუჯა მეფემ, მისი ზეობის პირველსავე წელს, იმ დროის უძლიერეს ფეოდალს — ლიპარიტ ბაღუაშს მიაპრო თავისი უურადლება, რომელსაც „...მას უნდა შინა ქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი მისი ქვეუნი“⁹⁷. ვიქტობთ, თრიალეთის მიმდგომ ქვეუნიში ატენიც შეიძლება გვეგულისხმება. რადგან ასეთი განსაზღვრა შესაფერისად მიგვჩინია ამ რეგიონისათვის. ამავე დროს ცნობილია, რომ ატენი კარგა ხნის განმავლობაში ეპურათ ბაღუაშებს და ეს მეტად მოხერხებული გზაშეხაყარი, დაცული შეუვალი ციხეებითა და ეიწრო ხეობებით, დიდხანს არც დაუთმოათ.

ვიქტობთ, სამეფო ზღლისუფლების მიერ ატენის დაუფლება ის საშური საქმე უნდა უოფილიყო, რითაც უნდა მოშლილიყო ბაღუაშთა სახლის (თრიალეთის კლდეკარი) შიდა ქართლთან უმოკლესი გზით დამაკავშირებელი რგოლი ამდენად, ატენის ქვეუნი ბაღუაშთათვის წართმევა და მეფის ერთგული მოხელის დაუენება. ბაღუაშთა მიერ ქართლზე კონტროლის მოშლას ნიშნავდა. იქნებ ამ ვითარებით იყო გაპირობებული ატენის ქვეუნი მფლობელობის

ის ოფიციალური დადასტურება, რაც ატენის სიონის მხატვრობაში ქტიტორთა გამოსახვაში გამოუკლინდა.

ატენის სიონის მხატვრობის თარიღის განსაზღვრაში ქაბუჯი დავითის ასაკთან ერთად გასათვალისწინებელია შიდაპოლიტიკური სიტუაციები და ეკონომიკური ვითარება. ძნელად სარწმუნოა, რომ ქაბუჯ მეფეს, მისი ძეობას პირველსავე წელს შესძლებოდა ტაძრის მხატვრულ ზრუნვა, როგორც ცნობილია, დავითმა მემკვიდრეობით თურქებისაგან მოთარეშებული ქვეუნია მიიღო. ასეთ ვითარებაში, ცხადია, უპირველესა საზრუნავი მთაში გახიზნული მოხახლეობის ბარში ჩამოყვანა და მოშლილი მეურნეობის აღდგენა იყო. დავითის ზეფობის დასაწყისშივე, თანდათანობით „ხოფლებადუა იწუეს შთამოსლვად და დახხდომად“⁹⁸. რაც ქვეუნი ეკონომიკური განვითარების საფუძველს შეადგენდა.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ბაღუაშთა მიერ ატენის ქვეუნი მფლობელობის ხანაში ვერ მოხატებოდა სიონი თუნდაც იმ ნიშნით, რომ საქტიტორო მწკრივში სუმბატ ანოტის ძე(1) გამოსახული ატენის ქვეუნი მფლობელად და არა ბაღუაშთა სახლის წარმომადგენელი, დავითის ისტორიკოსის ცნობით, ქაბუჯი მეფის ზეობიდან „... გარდაქდა წელიწადი ოთხი (— 1098 წ.). მოყუდა სულტანი მალიქ-შა და ლიპარიტ ამირამან იწუო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სლვა“. ისტორიკოსის ცნობით, დავითმა „პურობილყო იგი უამ რაოდენმე“. ლიპარიტი კვლავ განუდგა მეფეს მაშინ. „მეორესა წელსა (— 1004 წ.) კუალად შეიყრა“. შემდეგ „საბერძნეთს გაგზავნა და მუნ განეკუა ცხოვრებასა“⁹⁹. საფიქრებელია ამ ხანებში მოხატათ ატენის სიონი. ზემოთაუ აღვნიშნა, რომ დავითი (2) თუმც უწვერული ქაბუჯია, მაგრამ მისი ასაკისათვის ოცი წლის მეტ-ნაკლებობით განსაზღვრა შესაძლოდ მიგვჩინია.

ჩვენი მხატვრობის ქრონოლოგიის თვალსაზრისით აღნიშვნის ღირსია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ის თვალსაზრისი, რომ ატენის სიონი სტილისტური თვალსაზრისით წინ უსწრებს იფრარის მხატვრობას. რომელიც მეფის მხატვარ თევდორეს მიერ არის მოხატული დავით აღმაშენებლის ზეობაში, 1098 წელს. ვიქტობთ, ლიპარიტის მიერ ატენის ქვეუნი დაკარგვის შემდეგ და იფრარის მხატვრობამდე შესრულებული ატენის სიონის კედლის მხატვრობა.

დავასკენით:

1. ატენის სიონის მხატვრობაში ქაბუჯი მეფე დავით IV პირველად აისახა მეფის რანგით, საქტიტორო მწკრივის ხაზგახშულად უტრირებულ რეგლამენტაციას ჩანს გამომახილი 1088 წლის სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალებისა, რაც უველაზე მკაფიოდ ამ საქტიტორო მწკრივის მეთაურად გიორგი მწიგნობართუხუცესის, ხოლო მამაკაც ქტიტორთა შორის გიორგი II-ის ბოლოში (II) გამოსახვით გამოიხატა. ასეთი იდენტიფიკაცია ერთადერთია, რადგან მხოლოდ მას გაჩნია თავისი ისტორიული საფუძველი.

2. ქვეუნი შიდაპოლიტიკური სიტუაციების გამომხატველია გვირგვინოსან ქტიტორთა შორის ატენის ქვეუნი მფლობელი ფეოდალის — სუმბატის გამოსახვა. მცირეწლოვან მემკვიდრესთან ერთად, ასეთი რეგლამენტაცია ნაკარნახევი უნდა უოფილიყო ბა-

ღუაშთა უძლიერები ფეოდალური ხალხის სამეფო კართან დაპირისპირებით და ატენის ქვეუნი მფლობელობის უფლების დადასტურებით. რაც „კელიის აღმართვის“ აქტად უნდა იყოს მიჩნეული. სუმხატ აშოტის ძის ატენის ქვეუნი მფლობელად გამოხატვა დაეთის უფობის ხაწუის ხანაზე მიგვანიშნებს. როდესაც ხალუაშებმა ხაზოლოოდ დაქარაგეს ატენის ქვეუანა.

3. უარხაუოფია ხაშეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ის თვალხაწარისი. თითქოს ატენის ხიონი გიორგი II-ის უფობაში მოიხატა. ეს ნაწარმოები პირმშოა იმ ბრწუნივალე ეპოქისა. რომელხაც საფუძველი ჩაუქარეს დავით აღმაშენებელმა და მისი პოლიტიკური პროგრამის თანავეტორმა გიორგი მწიგნობართუხუცესმა.

შენიშვნები:

1 შ. Я. Амиранашвили. История грузинской монументальной живописи. I, Тб., 1957, стр. 95-96.

2 რ. შერლინგი, ატენის სიონის ედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, VIII, № 4, თბ., 1947. 33-261-268.

3 Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 95, 96.

4 რ. შერლინგი, დასახ. ნაშრ., გვ. 261-268.

5 თ. ბარნაველი, ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, XVII, № 3, თბ., 1956, გვ. 281; მისივე, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957., გვ. 5-7, 20.

6 გ. აბრამიშვილი, შენიშვნები ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, XIX, № 5, თბ., 1963, გვ. 635-692.

7 გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის საქტიტორო წარწერა, „ძეგლის მეგობარი“, 19, თბ., 1969, გვ. 30-37.

8 Т.Б. Вирсаладзе. Некоторые вопросы общей композиции росписи Атенского Сиона. Средневековое искусство. Русь, Грузия, М., 1978., стр. 83-91.

9 თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 8-13.

10 გრ. გუგარინის ხანხატში კარგად მოჩანს ქედი, რომელიც ამ დროს უკეთ ყოფილა დატული, იხ. G. Gagarin, Le Caucase pittoresque, Paris, 1845-1857, ტაბ. LVI.

11 ვერ გაეზიარებთ ნ. ჩოფიკაშვილის იმ დაკვირვებას, თითქოს ატენის სიონის მოხატულობის პირველსა და მესამე ქტიტორს ხელში ენქერები ეყურათ. იხ. ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, თბ., 1964, გვ. 101.

12 Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

13 К. Кекелидзе. Древне-грузинский архитетикон, Тифлис, 1912.

14 გ. ალიბეგაშვილი, რელიეფური ფილა სოხუმის მიდამოებიდან, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, XII, № 8, თბ., 1951, გვ. 214-217.

15 Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, Тб., 1969, таб. 205 а.

16 ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

17 Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. 72, 73.

18 ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

19 იქვე, გვ. 94.

20 G. Gagarin, დასახ., ნაშრ., ტაბ. L VII.

21 ივ. ჭავჭავიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III, IV, თბ., 1962, ტაბ. 15.

22 მსგავს ფერწერულ გადაწყვეტას ეხვდებით მაცნე-ვარიშის ედლის მხატვრობაში, სადაც, წითელ „ენიან კაბაში“ შემოსილ მუფე დემეტრე I-ს ხმაღს აბამენ ერისთავეები, რომლებსაც დემეტრესაგან განსხვავებული ფერის „ენიანი კაბები“ მოსავთ. დემეტრე I, ატენის მეორე ქტიტორის მსგავსად, მკათიოდ გამოიყოფა არა მხოლოდ ამოსის ფერადონებით, არამედ მასშტაბურად გამოსახული ფიგურითაც. იხ. Т. Б. Вирсаладзе. Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши. Ars Georgica, IV, Тб., 1955, таб. 56.

23 ივ. ჭავჭავიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16, 17.

24 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 8, 9.

25 იქვე, გვ. 10, 11.

26 G. Gagarin, დასახ. ნაშრ. ტაბ. L VII.

27 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 18-20.

28 G. Gagarin, დასახ. ნაშრ., ტაბ. L VII.

29 თ. ბარნაველი წარწერას ნაწილობრივ კითხულ იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 11.

30 Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

31 G. Gagarin, დასახ. ნაშრ., ტაბ. L VII.

32 Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 95. თ. ბარნაველი ნაწილობრივ კითხულობს ამ წარწერას („...მ შემოწონა... გიორგი მუფემან“), იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 11.

33 აღდგენა ეკუთვნის თ. ბარნაველს, იხ. მისი ატენის სიონის წარწერები, გვ. 12.

34 ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

35 ივ. ჭავჭავიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16, 17.

36 რ. შერლინგი, დასახ. ნაშრ., გვ. 261-268.

37 G. Gagarin, დასახ. ნაშრ., ტაბ. L VII.

38 ივ. ჭავჭავიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. 15. ეს პირი შედომით რატი სურამელად არის დასახელებული.

39 რ. შერლინგი, დასახ. ნაშრ., გვ. 261-268.

40 Г. В. Агибегашвили. Четыре портрета царя Тямары, Тб., 1957, стр. 25.

41 მ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 283.

42 Е. И. Привалова. Павлиси, Тб., 1977, рис. 5, 14, 15.

43 მ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, ტაბ. 150.

44 ე. კაველაშვილი, ლესთაგის ქტიტორული გამოსახულებანი, „მაცნე“, ისტორიის... სერია, I, თბ., 1980, სურ. 3.

45 თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965, გვ. 19, 21, 108, 110, 144, 147.

46 Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

47 ზ. ალექსიძე შესაძლოდ მიიჩნევს ატენის მხატვრობა 1014-1027 წლებს მიაკუთვნოს. იხ. გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან, „ცისკარი“, 5, 1978, გვ. 139, შენიშვნა (8).

- 47 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 25.
- 48 მხედველობაში გვაქვს საქართველოს ისტორიის პრობლემები, რომლებსაც ფლობდა მეფე გიორგი II.
- 49 ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1960, გვ. 309.
- 50 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1968, გვ. 159—160.
- 51 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 229—230.
- 52 ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 319.
- 53 ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 210—220.
- 54 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.
- 55 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 161.
- 56 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.
- 57 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 27, 28.
- 58 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324.
- 59 Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, *Art georgica*, 4., 1955, стр. 198, 205, 217; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в верхней сванетии, Тб. 1966, стр. 13, 22, 31.
- 60 Т. Б. Вирсаладзе, Некоторые вопросы общей композиции... стр. 83
- 61 Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели... стр. 217.
- 62 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324.
- 63 თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1938, გვ. 296; თ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 19, 21, 108, 110, 144, 147.
- 64 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 20.
- 65 ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 140.
- 66 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 25, 26.
- 67 იქვე, გვ. 57, 58, 59.
- 68 იქვე, გვ. 25, 26.
- 69 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 242.
- 70 იქვე, გვ. 242.
- 71 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 57.
- 72 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.
- 73 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 34.
- 74 უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით 1105 წელი (ე. გაბიაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, გვ. 14—19).
- 75 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 26.
- 76 И. Джавахоз, К вопросу о времени построения грузинского храма в Атени по вновь обследованным эпиграфическим памятникам, *Христианский Восток*, I, вып. III, СПб. 1912, стр. 17—40.
- 77 ს. ბარნაველი, ატენის ახალი წარწერები, საქ.
- ხსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, VII, № 1—2, თბ., 1946, გვ. 87.
- 78 რ. შვერლინგი, დასახ. ნაშრ., გვ. 267.
- 79 აქ აღარას ეამბობთ შ. ამირანაშვილის იდენტიფიკაციაზე, თითქოს მეოთხე ქტიტორი X საუკუნის სომეხთა მეფე სუმბატ ტიფურაკალია. ამის უარსაყოფად ამ მეოთხე ქტიტორის წარწერაში დასახელებული ბოტინატიც კმარა.
- 80 გ. აბრამიშვილი, სტეფანოს მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1978, გვ. 56.
- 81 გიორგი მწიგნობართუხუცესის გარდა, რომლის სახლის კუთვნილება გაურკვეველია, მაგრამ უდავოდ დიდგვაროვანია („...ძე დიდის“).
- 82 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1949, გვ. 63.
- 83 ასეთ თავსაბურავს ვარჯის სადგმელი და სტეფანე ეწოდებოდა იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 44.
- 84 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.
- 85 ნ. ჩოფიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31—32.
- 86 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 61.
- 87 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.
- 88 ნ. ჩოფიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 83—89.
- 89 შ. ამირანაშვილი კანკელს X საუკუნით ათარილებს. იხ. მისი ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 219—220; რ. შვერლინგი ამ კანკელს X ს. ნიმუშებთან განიხილავს, მაგრამ მას XI ს. დასაწყისის ძეგლად მიიჩნევს. იხ. მისი *Малые формы в архитектуре средневековой Грузии*, Тб., 1962, стр. 111—115.
- 90 შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 219.
- 91 ამის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა ხახულის კარედის ტიხრული მინანქრების მედალიონებზე დოთხუთხა ფირფიტებზე გამოსახული მეფე-დედოფლები. კოსტანტინეს და ელენეს, აგრეთვე, მიხეილ დუქსა და მარიამს სამეფო ბიზონები მოსავთ, თორაკით კი მხოლოდ დედოფლები გამოსახებიათ. თორაკით შემკული კიდევ ოთხი დედოფალი გვხვდება ხახულის კარედის ტიხრულ მინანქრიან მედალიონებში. შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბ., 1972, ტაბ. 8-12, 16.
- 92 ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 234.
- 93 ე. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ. 1969, გვ. 5—309.
- 94 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 38, 39.
- 95 ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 20.
- 96 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 38—40.
- 97 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324.
- 98 იქვე.
- 99 იქვე, გვ. 325.